მანიფესტი
2024 წელს უფრო დემოკრატიული ევროპული არჩევნებისთვის

2024 წლის, ევროპარლამენტის არჩევნებისთვის, ერთობლივი ქმედებაა საჭირო, რათა ევროპა გაძლიერდეს და მეტად ერთიანი, დემოკრატიული გახდეს. 73 წლის განმავლობაში, ვერც საზოგადოებამ და ვერც ევროკავშირმა (EU) ვერ შექმნეს ევროპის ფედერაცია, რის შესახებაც 1950 წლის 9 მაისს განაცხადა რობერტ შუმანმა და რაც გააძლიერებს ევროპას. 2008 წლის შემდეგ, ვერც ერთმა ერმა-სახელმწიფომ, მათ შორის ვერც ევროკავშირმა, ვერ შეძლეს ფინანსური, მონეტარული, მიგრაციის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების კრიზისებთან გამკლავება. ჩვენს ეკოსისტემებს საფრთხე ემუქრება. დღეს ომი მძვინვარებს უკრაინაში, რადგან ევროპა არის მშვიდობიანი, მაგრამ არა შემაკავებელი ძალა. ჩვენ ამისთვის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფასს ვიხდით. ამიტომ სასწრაფოდ უნდა ვიმოქმედოთ ევროპაში მშვიდობის აღსადგენად, გავხდეთ სუვერენული, ავტონომიური, დამოუკიდებელი და კვლავაც პატივცემული.

დემოკრატიული, ფედერალური ევროპული სახელმწიფო მოითხოვს კონსტიტუციას და არა შეთანხმებას. ეს ცხადია 1787 წლიდან, როდესაც ფილადელფიის კონვენციის ფარგლებში პირველი ფედერალური კონსტიტუცია მიიღეს. სახელმწიფოსთვის შეთანხმება გარე და მულტილატერალური აქტია, მაშინ როცა კონსტიტუცია შიდა საჯარო სამართლის უნილატერალურ აქტს წარმოადგენს, რომლის მიზანია მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებების დადგენა, რასაც ეყრდნობა პოლიტიკური ძალაუფლების ლეგიტიმურობა და ინსტიტუტების ზოგადი არქიტექტურა. კონსტიტუცია დგას სახელმწიფო ნორმების იერარქიის სათავეში.

სწორედ ამიტომ, *Avenir de l'Europe, Associazione Mazziniana Italiana, Citoyen d'Europe M3E (Europe, éthique, équité), Europe Unie dans sa Diversité, Europa-Union - Kreis Heilbronn, Union des Européens fédéralistes (UEF) - Groupe Europe (ევროპის ფედერალისტთა კავშირი (UEF) - ევროპის ჯგუფი), UEF-Belgium (UEF-ბელგია), UEF in the Czech Republic (UEF ჩეხეთის რესპუბლიკაში), UEF-Luxembourg (UEF-ლუქსემბურგი), Société européenne de défense en Europe centrale et orientale (S€DCEE) (ევროპის თავდაცვის საზოგადოება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში)* და *Société européenne de défense AISBL (S€D) (ევროპის თავდაცვის საზოგადოება)*, ჩვენ გირჩევთ შეუერთდეთ თქვენს ძალებს ჩვენს მიმართ, რათა დაეხმაროთ ამ მანიფესტს პრაქტიკაში. აღნიშნული მანიფესტი გვთავაზობს, თუ რა უნდა გააკეთოს ფედერალურმა ევროპამ ევროპის მოქალაქეებისთვის, მისი პოლიტიკის დაფინანსება, ფედერალური მმართველობა და ევროპარლამენტის შემადგენელი და ლეგიტიმური მეთოდი.

რას გააკეთებს ფედერალური ევროპა ევროპის მოქალაქეებისთვის?

მხოლოდ ევროპის ფედერაცია შეიძლება იყოს ეფექტური და ეფექტიანი გარე საფრთხეების მიმართულებით, როგორიცაა თავდაცვა, შიდა უსაფრთხოება, ტერორიზმი, საზოგადოებრივი ჯადაცვა, პანდემიები, ენერგომომარაგების უსაფრთხოება, გარემოს დაცვა და მიგრაციული ნაკადების მართვა. მხოლოდ მას შეუძლია განავითაროს ევროპული კულტურა და უზრუნველყოს სოციალური საბაზრო ეკონომიკის შენარჩუნება. მხოლოდ მას შეუძლია უზრუნველყოს ახალი თაობების მომავალი ინოვაციების ხელშეწყობით, სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევების მხარდაჭერით, ახალი ტექნოლოგიების რეინდუსტრიალიზაციით და დაუფლებით, მათ შორის ხელოვნური ინტელექტით, კვანტური გამოთვლებით, ახალი ენერგო გადაწყვეტილებებით და მწვანე ტექნოლოგიებით.

როგორ დაფინანსდება აღნიშნული პოლიტიკა?

ევროპის ფედერაციას უნდა ჰქონდეს საკუთარი რესურსები, რომელიც ინოვაციურ, ეგალიტარულ საგადასახადო სისტემას დაეყრდნობა. მულტინაციონალურმა კომპანიებმა, განსაკუთრებით ციფრულ სექტორში, თავი ვეღარ უნდა აარიდონ გადასახადებს. ყოველივე ეს ზემოთხსენებული პოლიტიკის დაფინანსებას შესაძლებელს გახდის და ხელს შეუწყობს საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებას, რასაც შეუძლია დაეხმაროს ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ წარმატებით გატარებულ მონეტარულ პოლიტიკას.

როგორ განიმარტება ფედერალური მმართველობა?

ჩვენ გვინდა დემოკრატიული, გამჭვირვალე, სუვერენული, ავტონომიური, დამოუკიდებელი ევროპული სახელმწიფო, რომელსაც პატივს სცემენ მისი მოკავშირეები და სხვა სახელმწიფოები. ვერც ევროკავშირში ინტეგრაციამ და ვერც ნატოსთან თანამშრომლობამ ვერ შეძლო ევროპული სახელმწიფოს შექმნა, რომელიც უსაფრთხოების და მშვიდობის გარანტიას მოგვცემდა. ისტორია გვიჩვენებს, რომ კონფედერაციები ან გადაიქცევა ფედერაციებად, ან იშლება. ევროპისთვის, მსოფლიოში გავლენა რომ შეინარჩუნოს და თვალი გაუსწოროს არსებულ საფრთხეებსა და გამოწვევებს, ერთადერთი დარჩენილი გზა ფედერაციაა. დამფუძნებელი კრება აირჩევს ფედერაციას და შესაბამისად განსაზღვრავს კომპეტენციის სფეროებს, პატივს სცემს რა სუბსიდიარობის პრინციპს, რათა შეინარჩუნოს ხალხის სუვერენიტეტი და ბალანსი ფედერაციას ეროვნულ და რეგიონულ ძალაუფლებებს შორის.

როგორ მოამზადებს ევროპარლამენტი კონსტიტუციას?

მეთოდი, სუვერენული და დემოკრატიული ევროპული სახელმწიფოს დასაფუძნებლად, რომელიც აერთიანებს მრავალფეროვნებას_მაშასადამე არის ფედერალური, 1787 წლის 7 სექტემბრიდანაა ცნობილი, როცა აშშ-ს შტატების დელეგატებმა, ფილადელფიაში, პირველი ფედერალური კონსტიტუცია მიიღეს. იგი იწყება სიტყვებით "ჩვენ, ხალხი". აღნიშნული კონსტიტუცია ძალაუფლებას ჰყოფს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად. საკანონმდებლო შტო ორპალატიანია. ქვედა პალატა აირჩევა პირდაპირი წესით, თითოეული სახელმწიფოს მოქალაქეები წარმოდგენილნი არიან მათი რაოდენობის პროპორციულად. სენატში სახელმწიფო თანაბარია. ევროპას შეუძლია გამოიყენოს ეს პრინციპები, რათა შევინარჩუნოთ მშვიდობა და უსაფრთხოება, უზრუნველვყოთ ჩვენი ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები და დავიბრუნოთ კანონიერი ადგილი საერთაშორისო არენაზე ეკონომიკური ძალაუფლებისა და ევროპული ცივილიზაციის გათვალისწინებით!

როგორ შეუძლია ევროპარლამენტს ლეგიტიმაციის გაუმჯობესება?

სასურველია, 2024 წლის არჩევნებამდე ევროპარლამენტმა მიიღოს საარჩევნო კანონი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს რა ასაკიდან შეუძლია ევროპის მოქალაქეს ხმის მიცემა, როგორია საარჩევნო ბარიერი, ხმის მიცემის წესი და კრიტერიუმები რაც უზრუნველყოფს მოქალაქეების საკმარისად თანასწორ, დემოკრატიულ წარმომადგენლობას.

Avenir de l'Europe | Associazione Mazziniana Italiana | Citoyen d'Europe | Europe Unie dans sa Diversité | Europa-Union Kreis Heilbronn | UEF Groupe Europe, UEF Belgium, UEF Luxembourg, UEF Czechia | SED Central and Eastern Europe | Société Européenne de Défense

foraconstituentassembly2024@gmail.com